საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდები დასრულდა

სწავლების ცენტრმა, ცესკოსთან თანამშრომლობით, 2019 წლის 25 ნოემბრიდან - 5 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდები განახორციელა. რეგისტრირებული 1122 მოქალაქიდან გამოცდაზე გამოცხადდა 420 მოქალაქე, რომელთაგან სერტიფიცირება წარმატებით გაიარა 98 პირმა.

საგამოცდო ცენტრების მიხედვით სტატისტიკური მონაცემები შემდეგია:

- თბილისის საგამოცდო ცენტრში რეგისტრირებული 785 მოქალაქიდან გამოცდაზე გამოცხადდა 286 მოქალაქე, სერტიფიცირება წარმატებით გაიარა 71 პირმა;
- ქუთაისის საგამოცდო ცენტრში რეგისტრირებული 337 მოქალაქიდან გამოცდაზე გამოცხადდა 134 მოქალაქე, სერტიფიცირება წარმატებით გაიარა 27 პირმა.

საგამოცდო პროცესი პანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაციის დაცვით წარიმართა.